ს.ს.ი.პ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის -
ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის
კავკასიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომის
ოქმი N 2

თბილისი 15 მარტი, 2024 წელი

<u>სხდომას ესწრებოდა:</u> ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 11 წევრი: ნ. გეგია (თავმჯდომარე), ვიოლეტა კირაკოსიანი (მდივანი), რ. კვატაშიძე, დ. არევაძე, ვ. გელეიშვილი, ა. თვალჭრელიძე, ნ, რჩეულიშვილი, ნ. სადრაძე, დ. პატარიძე, შ. მალაშხია, ე. შაფაქიძე, გ. თოდრაძე.

<u>დღის წესრიგი:</u>

ინსტიტუტის ბიოტექნოლოგიური ს.კ. განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლის ასარჩევად საკონკურსო კომისიის წევრების შერჩევა.

<u>მოისმინეს:</u> ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ნესტან გეგიას განცხადება იმის თაობაზე, რომ ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტში, აპრილის თვეში ბიოტექნოლოგიურ ს.კ. განყოფილებაში იქმნება მეცნიერი თანამშრომლის ვაკანსია. ამ ვაკანსიის დასაკავებლად, 2024 წლის 17 მარტს გამოცხადდა კონკურსი. მან შეახსენა დამსწრეთ, რომ „თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების“ მუხლი 4 თანახმად, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ უნდა შეარჩიოს საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და დასამტკიცებლად წარუდგინოს თსუ რექტორს. ამავე მუხლის ქვემუხლი 2 მიხედვით, საკონკურსო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 წევრისაგან და მის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდეს დოქტორის (ან კანონმდებლობით მასთან გათანაბრებული) შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირები. მუხლი 5 თანახმად, კომისიის შემადგენლობაში უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის მდივანი. ნ. გეგიამ საბჭოს წევრებს მიმართა წინადადებით, რომ დაესახელებინათ კანდიდატურები საკონკურსო კომისიისთვის.

<u>მოისმინეს:</u> რ. კვატაშიძის წინადადება იმის შესახებ, რომ საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს ხუთი წევრით.

<u>აზრი გამოთქვა:</u> საბჭოს წევრებმა და წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

<u>მოისმინეს:</u> რ. კვატაშიძემ სხდომის წევრებს შესთავაზა, რომ საკონკურსო კომისია ჩამოყალიბდეს შემდეგი შემადგენლობით:

ზაზა გორდეზიანი - (კომისიის თავმჯდომარე) სპეციალობით სამთო ინჟინერ- ტექნოლოგი, ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს დამსახურებული სამთო ინჟინერი, შპს „ასკანგელ ალიანსი“-ს გენერალური დირექტორის მრჩეველი;
ანზორ აბშილავა - (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, ტექნიკურ-მეცნიერებათა კანდიდატი;

კარლო აქიმიძე - (მდივანი) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი;
ნინო ჯაფარიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი;
ნინო ადეიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

<u>აზრი გამოთქვა:</u> დ. პატარიძემ, გ. თოდრაძემ.

<u>ჩატარდა კენჭისყრა:</u> წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

<u>დაადგინეს</u>: საკონკურსო კომისია შერჩეულ იქნას 5 წევრის შემადგენლობით: ზაზა გორდეზიანი (კომისიის თავჯდომარე), ანზორ აშილავა (თავმჯდომარის მოადგილე); კარლო აქიმიძე (მდივანი), ნინო ჯაფარიძე და ნინო ადეიშვილი (წევრები).

ინსტიტუტის დირექტორმა სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული საკონკურსო კომისიის შემადგენლობა დასამტკიცებლად წარუდგინოს თსუ-ს რექტორს.

სხდომის თავმჯდომარე /ნ. გეგია/

მდივანი: /ვ. კირაკოსიანი/